ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 22 დეკემბრის სხდომის

ოქმი #10

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023 წლის 22 დეკემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 28 წევრი, სხდომას ესწრებოდა 20 წევრი. სხდომას ესწრებოდნენ დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ.ტრაპაიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ.ჭელიძე, გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ქიმიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის არჩევისთვის საკონკურსო კომისიის დამტკიცება;
2. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
4. საფაკულტეტო კონფერენციის ვადების შესახებ;
5. პოსტდოქტორანტურაში მიღების გამოცხადების, წარმოსადგენი საბუთების, ვადებისა და კომისიის შესახებ;
6. პროგრამული ცვლილებები;
7. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** ინფორმაცია დღის წესრიგის პირველი საკითხის - ქიმიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის არჩევისთვის საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ. ხომერიკმა საბჭოს წევრებს მოახსენა საკითხის წინაისტორიის შესახებ. კონკურსის შედეგები გასაჩივრდა კონკურსანტების მიერ და აკადემიურმა საბჭოს რეკომენდაციის მიხედვით საჭირო შეიქნა კომისიის შემადგენლობის განახლება. საბჭოს წევრებთან მსჯელობის შედეგად ქიმიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა წარადგინა ახალი საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით: მაისურაძე მამუკა, ბეზარაშვილი გიორგი, ბიბილეიშვილი დენიტა, ციცაგი მზია, ჯიბუტი გიორგი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა დ. ძიძიგურმა, ო. ფურთუხიამ, ი. ჩიკვაიძემ, ი. ხუციშვილმა, ნ. შათაშვილმა, მ. ხაჩიძემ, რ.გახოკიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქიმიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის არჩევისთვის საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16, თავი შეიკავა - 2, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცა ქიმიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის არჩევისთვის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1) მაისურაძე მამუკა, პროფესორი, სტუ ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი (თავმჯდომარე);
2) ბიბილეიშვილი დენიტა, პროფესორი, სტუ ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი (მდივანი);
3) ბეზარაშვილი გიორგი, ასოცირებული პროფესორი, თსუ ზსმფ ქიმიის დეპარტამენტი (მოადგილე);
4) ციცაგი მზია, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, თსუ პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე;
5) ჯიბუტი გიორგი, ასისტენტ პროფესორი, თსუ ზსმფ ქიმიის დეპარტამენტი.

2. მოისმინეს: ინფორმაცია დღის წესრიგის მეორე საკითხის - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს წინასწარ დაეგზავნათ ბიუჯეტის პროექტი გასაცნობად (იხ. დანართი 1). ბატონმა რამაზმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს განმარტება მისცა ბიუჯეტთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე. როგორც მან აღნიშნა, ბიუჯეტი, წინა წელთან შედარებით, შეცვლილია. კერძოდ, ამ ბიუჯეტით გათვალისწინებულია მარტის თვიდან ყველა კატეგორიის პერსონალის ხელფასების მატება 10 %-ის ოდენობით. ამის გარდა, კიდევ მცირედი შესწორებებიცაა შეტანილი.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს წევრებმა აქტიურად განიხილეს წარმოდგენილი ბიუჯეტის მუხლები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2024 წლის ბიუჯეტი (იხ. დანართი 1).

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი – საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. საკითხი წარმოადგინა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. ბატონმა რამაზმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ (იხ. დანართი 2.1). აღნიშნული საკითხი ერთ-ერთ წინა სხდომაზეც განვიხილეთ უშედეგოდ და გადავიტანეთ შემდგომი სხდომისთვის. ამჯერად წარმოდგენილ დოკუმენტში თითოეულ ცვლილებაზე მოცემულია დასაბუთებული განმარტებები.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ. შათაშვილმა, ა. შენგელაიამ, ა. გამყრელიძემ, დ. ძიძიგურმა, ო. ფურთუხიამ, ი. ხუციშვილმა. ქალბატონმა ნ. შათაშვილმა დაწვრილებით წარმოადგინა თავისი შენიშვნები, რომლებიც ძირითადად შეეხებოდა მე-2, მე-8 და მე-10

მუხლებში შემავალ ცვლილებებს, რაზეც ფაკულტეტის საბჭოს სხვა წევრებიც დაეთანხმნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის დამტკიცების შესახებ (იხ. დანართი 2.1), შესაბამისი შესწორებებით მე-2, მე-8 და მე-10 მუხლებში (იხ. დანართი 2.2).

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები და დამატებები „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №116/2018 დადგენილებაში (იხ. დანართი 2.1), შესაბამისი შესწორებებით მე-2, მე-8 და მე-10 მუხლებში (იხ. დანართი 2.2).

4. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – საფაკულტეტო კონფერენციის ვადების შესახებ. საკითხი წარმოადგინა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მე-12 ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება დაგეგმილია 2024 წლის 5-9 თებერვალს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მე-12 ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ვადების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მე-12 ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდეს 2024 წლის 5-9 თებერვალს.

5. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – პოსტდოქტორანტურაში მიღების გამოცხადების, წარმოსადგენი საბუთების, ვადებისა და კომისიის შესახებ. საკითხი გამოიტანა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან აღნიშნა, რომ წელს მეორედ ცხადდება კონკურსი პოსტდოქტორანტად მუშაობის მსურველთათვის და საბჭოს წევრებს გააცნო იმ დოკუმენტების ნუსხა, რომელიც მსურველმა უნდა წარმოადგინოს. ამასთან ბატონმა ვაჟამ აღნიშნა, რომ მსურველთა საბუთების მიღება დაგეგმილია 2024 წლის 8 იანვრიდან 12 იანვრის ჩათვლით. კანდიდატების შერჩევის მიზნით ბატონმა ვაჟამ საბჭოს წევრებს წარუდგინა კომისია შემდეგი შემადგენლობით: პროფესორი გია სირბილაძე, პროფესორი დავით კერესელიძე, პროფესორი რამაზ გახოკიძე, პროფესორი ალექსანდრე შენგელაია, პროფესორი დიანა ძიძიგური, ასოცირებული პროფესორი ილია თავხელიძე, ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია და ასისტენტ პროფესორი ლევან შოშიაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი პოსტდოქტორანტურაში მიღების გამოცხადების, წარმოსადგენი საბუთების, ვადებისა და კომისიის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: გამოცხადდეს მიღება პოსტდოქტორანტურაში.

საბუთების მიღება იწარმოებს 2024 წლის 8 იანვრიდან 12 იანვრის ჩათვლით.

პოსტდოქტორანტად მუშაობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) გამოქვეყნებული შრომების სია;

ე) უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის ასლი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირს, აკადემიური განათლების რომელიმე საფეხური დასრულებული აქვს და შესაბამისი აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვს უცხოენოვანი პროგრამის გავლის საფუძველზე);

ვ) პოსტდოქტორანტის სავარაუდო მეცნიერ-კონსულტანტის (უნივერსიტეტის აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი) თანხმობა კონსულტირება გაუწიოს პოსტდოქტორანტად დასაქმებულ პირს მისი საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში;

ზ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელიც მოსალოდნელი შედეგების მხრივ აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს პოსტდოქტორანტობის მსურველის ავტორობით/თანაავტორობით უნივერსიტეტის სახელით პრესტიჟულ, მაღალრეიტინგულ სამეცნიერო-კვლევითი სტატიის გამოქვეყნებას (დასაბეჭდად მიღებას), ისეთ ჟურნალში რომელიც ინდექსირებულია SCOPUS ან Web of Science ბაზებში და რომლის შესაბამისად CiteScore მეტია ან ტოლია1-ის, ხოლო Impact factor მეტია ან ტოლია 0,5-ის;

თ) ცნობა ნასამართლობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ“ 32-ე მუხლის პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება);

ი) სამეცნიერო დარგის/მიმართულების ორი წამყვანი სპეციალისტის მხარდაჭერის წერილი;

კანდიდატების შერჩევის მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- პროფ. გია სირბილაძე,
- პროფ. დავით კერესელიძე,
- პროფ. რამაზ გახოკიძე,
- პროფ. ალექსანდრე შენგელაია,
- პროფ. დიანა ძიძიგური,
- ასოც.პროფ. ილია თავხელიძე,
- ასოც.პროფ. გურამ ქუთელია,
- ასისტ.პროფ. ლევან შოშიაშვილი.

6. მოისმინეს: დღის წესრიგის მეექვსე საკითხი - პროგრამული ცვლილებების შესახებ. ცვლილებები წარმოადგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. ცვლილებები შეეხო სამაგისტრო პროგრამის "ინფორმაციული სისტემები" მეორე სემესტრის ძირითად საგანს "MIS110 ინტელექტუალური სისტემების მოდელები MATLAB-ში", კერძოდ უნდა ჩაემატოს ალტერნატიული წინაპირობაში საგანი "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო პროგრამიდან - "კონკრეტული მათემატიკა" (იხ. დანართი 3).

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა გ.სირბილაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი პროგრამული ცვლილებების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილება სამაგისტრო პროგრამაში "ინფორმაციული სისტემები" (იხ. დანართი 3).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი